№ 67 მარტი 29, ოთხშაბათი 1889 მარტი 29 ოთხშაბათი № 67

ტფილისი


გაზეთი ღირს

| თვეე | მან. | კ. | თვეე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაგზავნად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასკამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

მთავრობის ნება დართვით. მომავალის აპრილის ოც-და-ექვსსა დღესა, ქალაქ დუშეთში კენჭის ყრა იქნება დუშეთის მაზრის კეთილშობილთ წინამძღოლის ამოსარჩევად.

ამაზედ ვაცნობებ თავად აზნაურობას დუშეთის მაზრისას და უმორჩილესად ვსთხოვ მობრძანდნენ ზემო აღნიშნულს დროს ქალაქ დუშეთში. ამასაც ვაცნობებ თავად-აზნაურობას, რომ მათ უნდა წარმომიდგინონ მე საბუთნი ანუ კანონიერნი მოწმობანი თავიანთ უფლებისა, თანადასწრებისა მათისა აზნაურობის არჩევანზე, ვიდრე დაიწყებოდეს თვით არჩევანი

დეპუტატი დუშეთის უეზდის თავად-აზნაურობისა პოდპოლკოვნიკი **თავადი ევგენ ბებუთოვი.**

---

ტფილისი, 28 მარტი

როგორც დეპეშამ გვაუწყა, პარიჟში სასამართლომ გაამართლა პატრიოტთა ლიგის წევრნი. ის დანაშაულობა, რომელსაც ამათ სწამებდნენ, ფუჭი გამოდგა და სასამართლოს განაჩენს ხალხი დიდის ამბით მიეგება. ხალხი აღტაცებით იძახდა: „გაუმარჯოს ბულანჟეს და დერულედსაო“. პატრიოტთა ლიგის გამართლება სასიამოვნოდ უნდა დარჩეს მთელს საფრანგეთს, რადგანაც აღმოჩნდა, რომ ამ საზოგადოებას არავითარი შეთქმულობა არ ჰქონია რესპუბლიკის წინააღმდეგ. თვით ბულანჟეს საქმე-კი სხვა არის. მართალია, ბულანჟეს პატრიოტთა ლიგაც ესარჩლება, მაგრამ სხვა საეჭვო მომხრეებიცა ჰყავს. ეს ისეთი მომხრეები არიან, რომლებიც არას დაჰზოგავენ, ოღონდ რესპუბლიკა პირ-ქვე დაამხონ და გააუქმონ. ამიტომაც არის, რომ საფრანგეთის მართებლობამ ბულანჟეზე ეჭვი მიიტანა და დაადგინა იგი სამართალში მისცეს. ჯერ-ჯერობით ბულანჟეს წინააღმდეგ არავითარი ხელ-ჩასაკიდებელი საბუთი არ არის გამოცხადებული, მაგრამ მართებლობის ეჭვი სრულიად უსაფუძვლო არ უნდა იყოს. ბულანჟე ისეთ კაცად არის ცნობილი, რომელიც არავითარს საშუალებას არ შეუშინდება და არ დაერიდება, ოღონდ-კი თავისი გაიტანოს.

ბულანჟესა და პატრიოტთა ლიგის საქმე იმდენად საყურადღებო და რთულია, რომ თვით მართებლობაშიაც გამოიწვია უთანხმოება სამინისტრომ გადასწყვიტა ერთიცა და მეორეც სამართალში მისცეს, მაგრამ პრეზიდენტი კარნო ამისი თანახმა არ ყოფილა. ერთი გაზეთი, რომელიც პრეზიდენტის გაზეთად ითვლება, ამბობს, რომ სასტიკი ბრძოლა ბულანჟესა და პატრიოტთა ლიგის წინააღმდეგ დიდად მავნე იქნება რესპუბლიკისათვის და დიდს ზარალსაც მოუტანს საფრანგეთსაო. გაზეთი ამბობს, რომ თუ ვინიცობაა სენატი უმაღლესს სასამართლოდ გადააკეთეს, სამართალსა და კანონს-კი არ დაადგება, არამედ ძალ-მომრეობას მიჰმართავს და ეცდება თითოეული თავისი მოწინააღმდეგე მიწასთან გაასწოროს და გასთელოსო.

ამ გაზეთის წერილმა საზოგადოების ყურადღება მიიზიდა და კიდეც ჩააფიქრა ყველანი, რადგანაც თვით პრეზიდენტი კარნო ცნობილია, ვითარცა გულ-მართალი და მხნე რესპუბლიკელი. კარნოს იმდენად პატივსა სცემენ, რომ იმის სიტყვასა და საქციელზე ეჭვის მიტანა ყოვლად შეუძლებელია და ეს არის იმისი საბუთი, რომ დღეის შემდეგ მართებლობა უფრო ფრთხილად და მოფიქრებით მოეკიდება ბულანჟესა და იმის მომხრეებს. ამ გვარს საქმეში ხომ სიფრთხილე და მოფიქრება თავი და თავი საბუთია გამარჯვებისა. თუ ვინიცობაა ბულანჟემ თავი გაიმართლა და ის ბრალი, რომელსაც ამ დაუდგრომელს კაცსა სწამებენ, ტყუილი გამოდგა, მაშინ დევნული ბულანჟეს სახელი ერთი-ორად გაითქმება. ამ შემთხვევაში რესპუბლიკას მეტი ბრძოლა და ხერხი დასჭირდება ბულანჟეს სახელისა და გავლენის შესამუსრავად...

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** ამ დღეებში მოუვიდა ბათუმიდამ „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ოცი თუმანი, რომელიც შეუწირნია საზოგადოებისათვის ბათუმის სკოლის სასარგებლოდ იქაურს როტშილდის სანავთო საზოგადოებას.

*** 26 მარტს ღამე ვიღაც ბოროტ გამზრახველთ გაუტეხნიათ კათოლიკეთა ეკკლესია შუა-ბაზარში და საკმაოდ ფული გაუტანიათ.

*** ჩვენს მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ პატივცემულმა მიხეილ ზაალის ძემ ყიფიანმა შეადგინა ქართულს ენაზედ გეომეტრია. ეს თხზულება ოთხ ნაწილად არის დაყოფილი. პირველი ნაწილია პლანიმეტრია, მეორე—სტერეომეტრია, მესამე—უმაღლესი გეოდეზია და მეოთხე ზოგიერთი კანონები ტრიგონომეტრიისა. პირველი ნაწილი ამ წიგნისა – პლანიმეტრია უკვე მზად არის და ამ დღეებში გადაეცემა გასასყიდად „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას. ეს წიგნი ორი აბაზი ეღირება.

*** 30-ს ამ თვისას, ხუთშაბათს, ტფილისის სამუსიკო „კრუჟოკში“ დანიშნულია საუბილეო კონცერტი.

*** ჩვენ გვატყობინებენ, რომ 25 ამ თვისას ვიღაც ნ. ქ—ძეს მიხეილის ქუჩაზე უყიდნია სხვა-და სხვა თევზი და მათ შორის შამაიაც. ნასადილევს მთელს ოჯახობას მუცელი სტკენია და მეორე დღეს ყველანი ავად გამხდარან. ტფილისში ეს მეორე თუ მესამე მაგალითია იმისა, რომ უვარგისის თევზის ხმარებისაგან ხდებიან ავად.

*** გაზეთებში მოხსენებული იყო, რომ ავლაბარში, მეშვიდე განყოფილებაში, ცოფიანმა ძაღლებმა რამდენიმე კაცი დაჰკბინესო. ამას წინად რამდენიმე დაკბენილი ყმაწვილი საქიმოდ გაგზავნეს ტფილისის საბაქტერიოლოგიო სადგურში. ამ ცოფიანმა ძაღლებმა სხვა ბავშვებიცა და ძაღლებიც ბევრი დაჰკბინეს. ამ მოკლე ხანში საბაქტერიოლოგიო სადგურში მიიყვანეს საქიმოდ თხუთმეტიოდე ყმაწვილი. ქალაქის ბეითალი და პოლიცია ჰხოცდა დაკბენილს ძაღლებს, მაგრამ ერთი კიდევ დარჩათ. ავლაბრის იმ ეზოში, სადაც ქალაქის სამკურნალოს განყოფილებაა, ერთი დაკბენილი ძაღლი დღესაც დღეგრძელობს. პატრონს ვერ გაუმეტებია და ძაღლს ჰმალავს, იქნება არ გაცოფდესო. მით უფრო საჭიროა ამ ძაღლს ყურადღება ათხოვონ, რომ აქ სამკურნალოა, სადაც ბევრი ავადმყოფი დადის, და დიდ-ძალი ხალხი დაიარება საავადმყოფოს განყოფილების წინ.

*** ვერის ხიდს ახლო, წყლისპირის თავში არის ერთი პატარა საწვრილმანო დუქანი, სადაც, სასმელს გარდა, თითქმის ყველაფერს ჰყიდიან. ამ დუქანში ვაჭრობდა ორი ამხანაგი. ერთი ყოფილა ერევნის გუბერნიიდგან სახელად „კუგა“, მეორე-კი აქაური მცხოვრები. წარსულ პარასკევს კუგას უთქვამს თავის ამხანაგისთვის, რომ მე ეკკლესიაში წავალ და შენ აქ დუქანში დარჩიო. წასულა, გაუვლია იმ დღეს, მეორეს, მესამეს და ბიჭი აღარსად გამოჩენილა. ამხანაგს დაუწყია ძებნა, მაგრამ ვერსად უპოვნია. უფიქრია, შინ თუ წავიდა და მე არ გამაგებინაო. შემდეგ რაღაც საჭირო საქმისთვის გადაუშლია დავთარი და იქ უპოვნია პატარა ბარათი, სადაც კუგას თავის ხელით დაეწერა, რომ მტკვარში თავი უნდა დავირჩო და ჩემს დარჩობას ნურავის დააბრალებთო. არავინ იცის, თავს რისთვის ვირჩობ და ვერც არავინ გაიგებს რა არის მიზეზიო. თავის დედ-მამისთვისაც ასრეთივე წერილი მიუწერია. დაირჩო თუ არა ამ კაცმა თავი, ჯერ არ იციან.

*** **მოსკოვი:** მოსკოვის არხეოლოგიურ საზოგადოების ექსპედიციამ ამ ორი წლის განმავლობაში ბევრი

---

# ფელეტონი

### გიორგი ბრწყინვალე

#### მეფე საქართველოსი

#### XII *)

როცა ნოინები ერთმანეთის წინააღმდეგ აიშალნენ და მონგოლთა შორის განხეთქილება ჩამოვარდა, მეფესათვის ეს გარემოება მეტად სასარგებლო იყო და კარგადაც გამოიყენა მარჯვე დრო. მონგოლების ძალა დაიქსაქსა და მათ მომრეობასაც ბოლო მოეღო. მტრის შებედვა და ხელის შებრუნება ეხლა შეიძლებოდა და გიორგი მეფე ხომ თავისს „სიბრძნე-გონიერებას“ დროთა ვითარებას უმორჩილებდა. მტრის აშლისა და არეულობის დროს საქართველომ სრულიად მოიშორა მძიმე უღელი და შეუსრა სულთამხუთავი ბატონობა. არც აქ უღალატა ფრთხილმა მეფემ თავისს ჩვეულებრივს მიმართულებას და ხასიათს,—სადაც ძალა საჭირო იყო, ძალა იხმარა, სადაც არა — „გონიერებას“ დაემყარა, „სიბრძნეს“ მიენდო. მოგეხსენებათ ვაჟკაცთა წესი: სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო... მეფეც ამ წესს ადგა და მისდევდა. რაც უნდა იყოს, ამ „სიბრძნე-გონიერებამ“ სრულიად განდევნა გარეშე მტერი. მხოლოდ ერთი საშიშარი მტერი კიდევ დარჩენილიყო, და თქვენც გეცოდინებათ, რომ ეს მტერი შინაური და სახელად ეწოდებოდა... ორის ძმის გაყრა, ერთის საქართველოს ორ სამეფოდ გაყოფა.

წინადვე შევნიშნეთ, რომ ორ-მეფობა განზრახ და მანქანებით შემოიღეს. ამ უკანონო ქმნილებამ მალე ჰშობა თავისებრ უკანონო შვილი—ორის სამეფოს დაარსება. ულო ყაენს სძულდა დავით ნარინი, ხელში უნდოდა ჩაეგდო, მაგრამ მეფემ თავს უშველა, ქუთაისში გაიქცა და იქ საკუთარს ტახტზედ დაჯდა. საქართველო ორ სამეფოდ განიყო[50]). რასაკვირველია, ურჩის მეფის საქციელი არ მოეწონებოდა ყაენს, მაგრამ არც ორის სამეფოს დაფუძნება უნდა ყოფილიყო საწყენი, დასაღონებელი. და ან რად უნდა ყოფილიყო, როცა ეხლა ერთობა მოისპო და საქართველოს დამონებაც ადვილი შეიქმნა?! ადვილად დაიმონეს კიდეც და თუ ოდესმე ძლიერი ივერია ასე შერცხვა და დამცირდა მონგოლების დროს, ამის მიზეზად, სხვათა შორის, ის უბედურებაც უნდა ჩაითვალოს, რომელიც რუსუდანის „ტანით ზომიერ, ფერით თხელ, ენა-ტკბილ, მდაბალ, ცხენსა ზედა მხნემ, ფერხმალე და განმგონე“ შვილმა დავით ნარინმა მოუვლინა სამშობლოს...

უდიდესი ღვაწლი გიორგი ბრწყინვალისა სამეფოს გაერთიანებაა, მაგრამ აქაც გარემოებამ გააადვილა ეს ღვაწლი. თითქო ბედი და იღბალი თან დაჰყვა მეფესაო, ყველაფერი ეხმარებოდა, ხელს უწყობდა. ხოლო იგი ხომ დიდი ოსტატი იყო და ზედმიწევნით ესმოდა, რა დროს რა უფრო მოხერხდებოდა. მონგოლების გაძევების შემდეგ, მეფე ორის სამეფოს გაერთიანებას შეუდგა და დროც იყო. პირველად ესა, რომ ერთობის საჭიროებას ყველა ჰგრძნობდა და, როცა მეფე ამის შესახებ დაეკითხა იმერთა, ლიხის იქით ყველამ თანაგრძნობა გამოუცხადეს. თვით მეფის ხასიათი და მოქმედება უნებლიედ იზიდავდა იმერთა სულსა და გულს და ეს მით უფრო, რომ ხალხის მეხსიერებაში ჯერ აღმოფხვრილი და გამქრალი არ იყო წარსული ძმობა და ერთობა... დიაღ, იმერნი აღტაცებით მიეგებნენ, როცა მეფემ თავისის ლაშქრით გადალახა ლიხის მთა და იმერეთში შევიდა ხალხის გული მეფესაკენ იყო, მაგრამ სხვაფრივაც ბედი სწყალობდა თავისს რჩეულს. და აი როგორ.

მოკვდა თუ არა დავით ნარინი, იმისმა შვილებმა უთანხმოება და შუღლი ასტეხეს. უფროსს ძმას კონსტანტინეს ეკუთვნოდა მეფობა, ავიდა კიდეც ტახტზედ, მაგრამ მეორე ძმამ მიქაელმა ეს არ იყაბულა, მეფეს არ დაემორჩილა და რაჭა-არგვეთი დაიჭირა, სადაც თავის ნებაზედ იქცეოდა,—„დღეთა მათთა იშლებოდა ქვეყანა იგი“... „და არა ყვეს მშვიდობა, ვიდრე არა მიიცვალნეს“[51])... ერისთავებსაც ეს უნდოდათ, აღრევა ხომ მათ გაძლიერებასა და განდიდებას ხელს უწყობდა. როგორც ყოველთვის, ეხლაც, მოიღრუბლა თუ არა იმერეთის ცა, მთავარნიც განდგნენ: გიორგი დადიანმა მთლად ოდიში დაიჭირა ანაკოფიამდე და ცხომის საერისთოს მთავარი შეიქმნა; შარვაშიძემ აფხაზეთი დაისაკუთრა, გურიელიც გურიას ვას დაანებებდა და სხ.[52]); ერთის სიტყვით, თითოეული მთავარ-ერისთავი განუდგა მეფეს, თავისს სამთავროში დამოუკიდებელი შეიქნა და როგორც ენება, ისე განაგებდა ქვეყნის საქმეს. მეფე ვის ახსოვდა, იმას ვინლა რათმე აგდებდა... და ეს დამცირება იქამდე მივიდა, რომ როცა მიქაელ გარდაიცვალა, იმისმა შვილმა ბაგრატმა „ვერ იკადრა მეფობა“, სხვათა შორის, „დაუმორჩილებლობითა მთავართათა!“ ამ გვარი მდგომარეობა სწორედ საადვილოდ ხდიდა იმერეთის შემოერთებას და გიორგი ბრწყინვალემ ადვილადაც შეასრულა ეს საქმე: ჯარი შემოარტყა ქუთაისს და ყრმა ბაგრატ იძულებულ შეიქმნა 1330 წ. დამორჩილებოდა მძლავრს მეფეს. შემდეგ ბაგრატს მარტო შორაპნის საერისთო უბოძეს[53]).

სატახტო ქალაქის ქუთაისის აღე-

*) იხ. „ივერია“ №№ 62, 63, 64 და 66.

[50]) გახუშტის სიტყვით ეს ამბავი მოხდა 1246 წ. საქ. ისტ. გვ. 239, ბროსსე-კი ამბობს, რომ 1258 წ. მოხდაო, H. de la G. p. 546, n[4].

[51]) ქ.-ც-ბა, გვ. 427.

[52]) H. de la G. p. 610, n[4].

[53]) ქ. ც-ბა, გვ. 449.

ახალი და შესანიშნავი ზედ-წარწერანი მოიტანა კავკავიდგან. მოშეტებული ნაწილი ამ ზედ-წარწერათა შეეხება საქართველოს ისტორიასა და კულტურას. ზოგი ამ ნაშთთაგანი უნახავს ბროსსესაც და თავისებურად აუწერია ერთს თავისს თხზულებაში (Yoyage archéologique dans la Georgie et dans l'Arménie). გადათვალიერება ბროსსეს შრომისა და შედარება ახლად გადმოღებულ ზედ-წარწერებთან ფრიად საჭირო და საყურადღებო საქმეა. თვით დ. ზ. ბაქრაძე ჰგრძნობს ამ საჭიროებას და თავისს ჩინებულს შრომაში „Археологическое путешествіе по Гуріи и Аджарѣ“ უსწორებს ბროსსეს შეცდომებს. საკმარისია მოვიხსენიო ერთი მაგალითი. ვინმე ხურციძეს ჭოლებისა და ზარზმის ეკკლესიებზედ დაურჩენია სახსოვარი ზედ-წარწერა ბროსსე კითხულობს „ხურციძეს“ „კოხაძედ“ ანუ „ჩოხაძედ“. ბ-ნმა დ. ზ. ბაქრაძემ საბუთიანად გაუსწორა „ხურციძედ“, როგორც დაგვარწმუნა წელს მოტანილმა გრ. უვაროვის მიერ ამ ეკკლესიების ზედ-წარწერებმა.

ამ გვარი შეცდომები ბევრი აღმოაჩინა ბროსსეს შრომაში უკანასკნელმა ექსპედიციამ. მივაქცევ მკითხველის ყურადღებას ერთს ფრიად შესანიშნავს ზედ-წარწერას, რომელიც გაურჩევია ბროსსეს და რომლის ხელ-ახლად წაკითხვა არხეოლოგიურმა საზოგადოებამ მიანდო ერთს თავისს წევრს. ზარზმას ეკკლესიაში სხვათა შორის დარჩენილია ზედ-წარწერა, რომელსაც ბროსსე კითხულობს ასე: „მამასა შუათა ყოფილსა საშოსა“ და ამბობს, რომ ამ ზედ-წარწერას აზრი არა აქვსო (Yoyoge archèol. Rap. II p 135). ასე წაკითხულს ზედ-წარწერას მართლაც რომ აზრი არა აქვს. გრ. უვაროვის მიერ მოტანილი ზედ-წარწერა საუცხოოდ და თვალ-საჩინოდ გადმოღებულია. აი ეს ზედ-წარწერაც: „მისსა მამასა შოთა (დ) ყოფილსა შიოს შეუნდოს ღმერთმან“. აზრი, ვგონებ, მისახვედრია: ერის კაცობაში შოთა ბერად შემდგარი შიოს სულისთვის მფარველობას სთხოვს ღმერთს. მოგეხსენებათ, რომ სახელი ისე უნდა შეუცვალოს, რომ ერობასა და ბერობაში სახელწოდებას პირველი ასო ერთ ნაირი უნდა ჰქონდესთ (შოთა—შიო). ვინ იცის, იქნება ეს ზედ წარწერა ჩვენს შოთას იხსენიებს. ეს შესაძლებელია, რადგან ზარზმის მონასტერი (30 ვერსზედ ახალციხის მახლობლად) აშენებულია ბაგრატ მეოთხეს დროს (1027—1072).

*** **სოფ. ზემო ნიქოზის მღვდელი მამა ი. დავითაშვილი** გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი წერილი: «მე განვიზრახე ზემო ნიქოზის ტაძრის შეკეთება. ეს ტაძარი აშენებულია მეფე ვახტანგ გორგასლანის მიერ ქართველთა პირველ მოწამის წმ. რაჟდენის სახელობაზედ, რომლის წმ. გვამიც აქ ასაფლავია. ტაძარი დაძველდა, ერთი მეათედი კედლებიც დანგრეულია და წვეთი სულ მთლად გარშემო ჩამოდის. თუმცა ესეა, მაგრამ წირვა-ლოცვა დღემდე არ შეწყვეტილა. ცოდვაა ამისთანა დიდებულის ძეგლის ნაშთის დანგრევა და ამიტომ მე კომიტეტითურთ მივმართე ზოგიერთთა კაცთა და შემწეობა ვსთხოვე. ჩემი თხოვნა უქმი არ გამოდგა. ამ ჟამად მე მივიღე ფული: მოსკოვის ვაჭრის თეოდორე პეტრეს ძის ბელიაევისაგან—65 მან., გენერალ კონსტ. ქრისტეფორის ძის მამაცაშვილისაგან—10 მ., მოსკოვის მცხოვრებ ეკატერინე ლიუბიმოვისაგან—4 მან. კომიტეტი ამ შემომწირველთ უგულითადესს მადლობას უძღვნის. სრული იმედია, ჩვენის ქვეყნის შვილნი და სხვანიც დახმარებას აღმოუჩენენ ამ კეთილს საქმეს.

*** **შორაპნის მაზრა:** ჩვენში ამ ჟამად იშვიათია თავადი თუ აზნაური, რომელსაც სწავლა-განათლების მნიშვნელობა და სარგებლობა არ ესმოდეს. ვისაც-კი შვილი ჰყავს, მუდმივ იმის ცდაშია, რომ შვილი სკოლაში მიაბაროს. ეს ცდა და სურვილი იმდენად ძლიერია, რომ არამც თუ სილარიბეს, არამედ ზოგჯერ დანაშაულობასაც არ უფრთხიან. ამის მაგალითსაც მოგახსენებთ: 1881 წელს ცამეტის წლის ყმაწვილმა, შორაპნის მაზრის მცხოვრებმა, გვარად ნიკოლოოზ ორახელაშვილმა, ქუთაისის პროგიმნაზიაში განიზრახა შესვლა, მაგრამ ხელს უშლიდა წლოვანება. ამ ორახელაშვილს ჰყავდა უმცროსი ძმა იაკინთე. უფროსმა ძმამ ნიკოლოოზმა, რომელსაც პროგიმნაზიაში შესვლა უნდოდა, გამოიყენა წლოვანების მოწმობა და უმცროსის ძმის იაკინთეს სახელი დაირქვა, ასე რომ უფროსი შეიქმნა უმცროსად და უმცროსი-კი უფროსად და კიდეც იქმნა მიღებული პროგიმნაზიაში. ამ ყმაწვილმა გამოიჩინა სწავლაში ნიჭი და მუყაითობა, საუკეთესოდ დაასრულა სწავლა პროგიმნაზიაში, საიდგანაც იქმნა მიღებული კლასიკურ გიმნაზიაში. ყმაწვილმა მიატანა თუ არა მეექვსე კლასამდე, გიმნაზიის მთავრობამ საიდგანაც შეიტყო, რომ შეგირდი ორახელაშვილი თავისს ძმის სახელს ატარებდა, და ამიტომაც დაითხოვა იგი გიმნაზიიდგან. გიმნაზიის მთავრობის გადაწყვეტილება დაამტკიცა სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა, რომლის ბრძანებით ყმაწვილი ორახელაშვილი სისხლის სამართალში იქმნა მიცემული. საქმე სწარმოებდა ქუთაისის სასამართლოში წარსულს წელს. აქ ყმაწვილმა თავი იხსნა სასჯელისაგან, მხოლოდ სწავლა-კი შეაწყვეტინეს. ეს გარემოება დიდად აშფოთებდა საბრალო ყმაწვილს. თუმცა ბევრი ეცადა შებრალებულ ყოფილიყო, მაგრამ ვერას გახდა. ეხლა-კი ეს ყმაწვილი სცდილობს სამხედრო სამსახურში შესვლას.

*** ამ თთვის 28-ს, დილის ხუთს საათზე, მეათე განყოფილების ბოქაულმა გლებოვმა ბოქაულის თანაშემწის ვოლობუევის დახმარებით, აღმოაჩინა ყალბის ქერცხლის ფულის მკეთებელი ტფილისის მოქალაქე ალექსი ამირხანოვი, რომელიც აკეთებდა თურმე ყალბს აბაზიანებსა და სამშაურიანებს. ამირხანოვს უპოვეს ორი მაშინა ყალბის ფულის საკეთებელი და სამოციოდე ყალბი აბაზიანი და სამშაურიანი და შეიპყრეს.

*** ამ თთვის 27-ს, მეხუთე განყოფილებაში, ალექსანდრე ბოჩკალოვის მაღაზიაში შესულა ბაქოს გუბერნიის გეოქჩაის მაზრის მცხოვრები ქერბალაი-ჯელალ-მაშადი-ჯაბაროღლი და უყიდნია რევოლვერი. უცაბედად ქერბალაიმ რევოლვერი გაისროლა და ტყვია მოჰხვდა იმის ამხანაგს ნაზარ-ქერბალაი-ალიოღლის. დაჭრილი გაჰგზავნეს სამკურნალოში, სადაც უკვე გარდაიცვალა. გამოძიება სწარმოებს.

*** იმავე დღეს, მეექვსე განყოფილებაში, თელავის მცხოვრებს ვიღაც ალექსის (გვარი არ იციან) თავის მოკვლა განუზრახავს და მუცელში დანა დაუცია. ალექსი გაჰგზავნეს სამკურნალოში. გამოძიება სწარმოებს.

*** იმავე დღესვე, მეცხრე განყოფილებაში, ბალის ქუჩაზე, ალელოვის სახლებში, „ტიტულიარნი სოვეტნიკის“ ქალმა, იულია ალექსანდრეს ასულმა ივანოვისამ, 35 წლისამ, თავი მოიწამლა დარიშხანით. ივანოვისა სამკურნალოში გაჰგზავნეს. გამოძიება სწარმოებს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

თიანეთი. თიანეთის მინდორს ეღირსა განთავისუფლება თოვლისაგან. გარშემო ტყიანი მთებიც აშრა და ზოგან ხალხმა ხვნას მიჰყო ხელი. ამ თთვის დამდეგში ძალიან ცუდი ამინდები იყო და უიმისოდაც დიდის ზამთრისაგან შეწუხებული ხალხი უფრო შეაწუხა. მთაში დიდი თოვლია და, რაღა თქმა უნდა, თუ წვიმამ ერთბაშად დაჰკრა მთის თოვლს, იოლი საზარელი შეიქმნება და წყლის ნაპირის სოფლებს ზარალს მისცემს. აქაური გლეხები საცოდაობაში არიან: უპურობა ცალკე აწუხებს და საქონლის უსაჭმლობა ცალკე. ერთად-ერთი სიკეთე აქაურის გლეხისა ის იყო, რომ პურს არა ჰყიდულობდა. ეხლა ესეც სასყიდელი გაუხდა. წარსული წელი ძალიან მოუსავლიანი წელი იყო. ვისაც რა მოუვიდა: პური, ქერი, თივა, ან ბზე, ისიც წარსულის წლის ზაფხულშივე გაჰყიდა ჯარის ბანაკობის დროს, რადგან ორიოდე გროშს დაეშურა. ეხლა კოდი პური ჰფასობს სამ მანეთად და სამ მანეთად და ათ შაურად, კოდი ქერი—თორმეტ აბაზად. კოდი პური იწონს სამს ფუთს, კოდი ქერი—ორ ნახევარ ფუთს. ამისი მომსწრე ბერიკაცებს აგონდებათ ძველი დრო, როდესაც ჰქონდათ ბევრი პური და ღვინო, ატარებდნენ კაი ქეიფს, უერთმანეთოდ პურს არა სჭამდნენ, ჰქონდათ ნათესაობის სიყვარული, ოხრად იყო სახნავი მიწები და ტყე, სადაც მათი გაველებული ცხენი და ხარკამბეჩი უპატრონოდ დაფუნდრუკობდა, ყველაფრის სიავე, ფარჩის სიგამძლე და დიდი ალი. დღეს-კი იმის თვალში ყველაფერი გამოიცვალა: მის ხელში შექნილ დაბადებულები იმაზე უარესად წელში მოკაკულები და ყურებ-ჩამოყრილები დადიან.

რამდენჯერმე იყო გაზეთებში ლაპარაკი თიანეთის მაზრაში სკოლების უქონლობის გამო, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია ამ ფრიად სავალალო საგანს. თუ რა ყოფაშია სწავლა-განათლება ჩვენს მხარეს, მკითხველი დაინახავს შემდეგ სტატისტიკურ ცნობებიდამ, რომელიც ნამდვილთან დაახლოებულია. არც ერთს ხევსურს, არც ერთს ფშაველს, არც ჩაღმა თუშს, არც ერწო-თიანელს ჯერ მაღალი სასწავლებელი არ გაუთავებია, გარდა წოვა-თუშებისა. მთის ხევსურები არიან რიცხვით 5590 ორივე სქესი, მათში ჯერ არავის მიუღია შუათანა, ან პირველ-დასაწყისი განათლება. ბარში ჩამოსული ხევსურები არიან რიცხვით 1182 სული ორისავე სქესისა და სცხოვრობენ ერწოში. ამათში მარტო ორსა აქვს შუათანა სასწავლებელი გათავებული და ეხლა არც ერთი ხევსურის ბალღი არსად არა სწავლობს სასწავლებელში. ფშაველები რიცხვით თიანეთის მაზრაში, გარდა დუშეთის მაზრისა, არიან სულ 7309 და ამათში სწავლა მიუღია, ისიც პირველ-დასაწყისი, ესე იგი მესამე რიგის სასწავლებელში, სულ ხუთსა, შუათანა სასწავლებელში არც ერთსა. ეხლა სწავლობს დაბალს სასწავლებელში ორი. ჩაღმა თუშები არიან რიცხვით ორივე სქესისა 3988; ამათში სწავლა აქვს მიღებული, ისიც დაბალს სამ კლასიან სასწავლებელში, მარტო ერთსა და სხვა სასწავლებელში, გარდა სოფლის სკოლისა, არც ერთი ჩაღმა თუში არა სწავლობს. წოვა-თუშები რიცხვით არიან ორივე სქესისა 1533; იმათში მაღალი სწავლა მიუღია ორსა, შუათანა სასწავლებელი გაუთავებია 5 და პირველ-დასაწყისი სწავლა მიუღია 50 კაცს. თითქმის ყველანი სახელმწიფო ხარჯით არიან დაზრდილები. საწყალ ხევსურებს ისევ სძინავთ:

---

ბამ თავს ზარი დასცა დამოუკიდებელ და განდიდებულ მთავარ ერისთავებს გაკადნიერებულმა ფეოდალებმა უმალვე იგრძნეს რაც მოელოდათ, თუ ურჩობას გაუწევდნენ მძლავრს მეფეს, რომელსაც, საკუთარს ჯარს გარდა, იმერთა თანაგრძნობაც ამხნევებდა მეორეც ესა, არავისთვის დაფარული არ იყო მეფის განზრახვა, მისი გულის წადილი, ყველა კარგად ჰხედავდა, რომ მეფეს ჰსურდა „სრულის საქართველოს“ აღდგენა. წინააღმდეგობა არას გზით არ მოხერხდებოდა და, რადგანაც ჩვენს დიდკაცობას დრო-ითა ვითარების ალღო და გამჭრიახობის უნარიც ჰქონდა ხოლმე, ამიტომ, ანდაზისა არ იყოს, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა: „დადიანი მამია, გურიელი და სვანთა ერისთავი, და აფხაზეთისა შარვაშიძე მოერთნენ ნიჭითა დიდითა და დაულოცეს მეფობა იმერეთისა და ყოვლისა გიორგიისა“ [54]) მაგრამ მეფემ ეს არ იკმარა, და არც მარტო სამეფოს ცალიერი დალოცვა და სკიპტრას წინ თავის მოდრეკა შეადგენდა გიორგი ბრწყინვალის იდეალს, არა,—იმისი აზრი უფრო შორს სცემდა... არა ერთხელ და ორჯელ დაჰმორჩილებიან ძალა უნებურად მთავარნი მეფეს, მაგრამ მერე, როცა დრო უპოვნიათ, ისევ გამდგარან, ულალატნიათ. ეხლაც საჭირო იყო მარტო დამორჩილება-კი არა, არამედ შეცვლა იმ წეს-წყობილებისა, რომლის მიზეზითაც მომდინარეობდა ეს მუდმივი განდგომა და ჟამად-ჟამადი ურჩობა. წეს-წყობილების შეცვლა კიდევ იმაში მდგომარეობდა, რომ მეფემ აღიარა მთავარ ერისთობა პირადი საკუთრება არააო, ჩემი ნებაა ვისაც ვუბოძებ, ხოლო ვუბოძებ მარტო იმას, ვინც მორჩილი იქნებაო... საქმითაც ასე მოიქცა: შემოვლო მთლად დასავლეთ საქართველოს ყველა საერისთო, საქმენი განაწყო, ყველგან წესი და რიგი დაადგინა და ერთგულნი, მორჩილნი მთავარნი დააყენა. თვით სამცხე-კლარჯეთმაც მოწიწებით თავი მოუდრიკა გვირგვინოსანს მეფეს, როცა იგი შევიდა განდიდებულს სამთავროში. იქაც დასხნა მორჩილნი ერისთავნი. ამ გვარად აღადგინა ბრწყინვალე მეფემ ძლიერი საქართველო, «ივერია დაფანტული სამეფოდ, სამთავროდ და საერისთოდ დაყოფილი... კვალად შემოიკრიბნა და დაიმონნა»... დიდი და თვალ საჩინოა იგი ღვაწლი, მით უფრო, რომ «კეთილმა ხუროთ-მოძღვარმან» სამეფოს ერთობა ააშენა და დაამყარა სჯულსა და წესზედ, ცხოვრების გაუმჯობესობასა და განკარგებაზედ; მან სულიერი ძალა ჩაჰბერა, ცხოველ-მყოფელი მადლი სცხო კვალად აღდგენილს ივერიას და მხოლოდ ამ ძალამა და მადლმა დაიფარა და შეინახა გაერთებული საქართველო ას ოც-და-ათს წელს. მარტო გარეგანი ძალა ვერ დაიცავდა დიდის ივერიის ერთობას. საყურადღებო და შესანიშნავიც ისაა, რომ მეფემ „ძლიერებას“ შეუსაბამა „სიბრძნე-გონიერება“. იშვიათად მოიპოვება, არა თუ მარტო ჩვენს წარსულში, სხვაგანაც ისეთი მეფე, რომელიც თავისს ძლიერებას ჰგრძნობდეს, ღონეზედ დარწმუნებული იყოს, მაგრამ ან ერთმა და ან მეორემ არ წაიცდუნოს, არ წაიტაცოს... იშვიათია, რომ კაცი თავისს ძალას უმორჩილებდეს იმ უზენაესსა და ღვთიურს ნიჭს, რომელსაც გონიერება ეწოდება. მაგრამ ამ ზეგარდმო ნიჭით უხვად მიმადლებული იყო გიორგი მეხუთე. მისი დიდ-ბუნებოვანობა თითქო ჰარმონიულად შემკობილი და შეწყობილია „უებრო ახოვნებითა“ და მაღალის „გონიერებითა“. ამ ღირსების მქონე „ხუროთ მოძღვარი“ მკვიდრად აგებს შენობასა და გიორგი ბრწყინვალის შენობამაც ასე დიდ-ხანს გასძლო, თუმცა გარშემო მღელვარება და გრიგალი არ დამცხრალა ..

XIII

ვიდრე მეფე ორს სამეფოს გააერთიანებდა, რასაკვირველია, მონგოლთა უღელი უნდა შეემუსრა. როგორც უკვე შევნიშნეთ, მუსაით ყაენმა და ჩოფანმა პირველადვე მისცეს გიორგის «ყოველი საქართველო და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი, და შვილნი დავით მეფისანი, და მესხნი, შვილნი ბექასანი», მაგრამ ნოინები-კი მაინც დარჩნენ საქართველოში და იმ დროს მეფე ისევ ვასალურს დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. სამეფო სკიპტრას ნოინობა ჰჩრდილავდა და სრულმა შუქმა იგი სკიპტრა მხოლოდ მაშინ გააბრწყინვა, როცა ნოინობა აღმოიფხვრა. ხოლო ნოინთა ძალა და ბატონობა შეირყა ისევ ყაენთა აღრევის დროს ეს იმიტომ, რომ ნოინთ დამოკიდებულება ჰქონდათ ყაენებთან და აღრევის დროს ნოინებსაც უთანხმოება ჩამოუვარდათ იგინიც ცალ-ცალკე განდგნენ, თითოეული მძლავრი ნოინი ჰლამობდა დაეპყრა რომელიმე ნაწილი საყეენოსი და კიდეც „რომელთამე დაიპყრეს“... ერთმანეთის ჯიბრმა და ცილმა ნოინებს თითქო გონი და სამხედრო საჭრისი დაუბნია, ამასთანავე თვით ლაშქარში მოისპო წესი და მორჩილება, განჰქრა სამხედრო სული, რომელიც აქამდე უძლეველს ჰყოფდა მონგოლთა, ამ «მოისართა რჩეულთა», „მაგრითა მშვილდითა უცთომრად მსროლელთა“...

გიორგი ბრწყინვალესათვის ხომ ამ გვარი გარემოება მეტად სასარგებლო იყო. მართალია, ძალითა და მახვილით მტრის განდევნა იმ დროს, გასაჭირს არაფერს წარმოადგენდა, მაგრამ მეფემ მხოლოდ ზოგიერთნი «განასხნა ბრძოლითა და ძლიერებითა», დანარჩენის თათრების გაძევება ისევ „გონიერებით“ მოახერხა და თუ არ

---

[54]) ibid.

შარშან მთის ხევსურის ორი ბალღი იყო მიღებული დუშეთის ორ-კლასიანს სასწავლებელში სახელმწიფო ხარჯზე და დედ-მამამ უარი სთქვა, არ გაგზავნა. აწყინოს წოვა-თუშის ბალღებს, რომელთაც ისარგებლეს და ცუხ-ცუხით გასწიეს სკოლაში ხევსურების მაგიერ—ერწო-თიანელები! ახმეტელ-მატნელები რიცხვით ორივე სქესი 13,541-ია და ამათში აქვს შუათანა სასწავლებელი გათავებული ორსა, დაბალი სამ-კლასიანი ან ოთხ-კლასიანი სასწავლებელი ორსა. სწავლობს ოთხ-კლასიანს სასწავლებელში 8 ყმაწვილი, შუათანა სასწავლებელში სამი *). ქისტები არიან რიცხვით 1866, მათში არავინ არ ურევია, რომ სადმე სწავლა გაეთავებინოს, ან სწავლობდეს, გარდა ერთის გაქართველებულის ქისტისა. ურიგო არ იქნება აქვე დავუმატოთ, რომ 1887 წელს მოიკრიბა თიანეთის მაზრიდამ სულ 33 ჯარის-კაცი და იმათში ხელის-მოწერა იცოდა ქართულად თერთმეტმა. გარდა ამისა ქისტები ძალიან მისდევენ ქართულ წერა-კითხვას და მათი მოხელენი ქართულ ენაზე აწარმოებენ დავთარ-ქაღალდებს. უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ერწო-თიანეთსა და ფშავ-ხევსურეთში მაგრე ნაკლებად არის სწავლა-განათლება გავრცელებული, არის რიგიანის სკოლის უქონლობა. მთელს მაზრაში არის სულ სამი სასოფლო სკოლა, ისიც უსარგებლო. ის არა სჯობდა, რომ ამ სამის სკოლის მაგიერ ერთი ყოფილიყო და რიგიანი? ხევსურებისაკენ რა მოგახსენოთ და დანარჩენ თიანეთის მაზრის ხალხს ძალიან კარგად აქვსთ სწავლა-განათლების სიკეთე შეგნებული. თიანეთში სამ-კლასიანი, ან ოთხ კლასიანი სასწავლებელი რომ დაარსდეს, მაშინ ბევრი ფშაველი მიიღებს სწავლას, ხევსურებიც თან მიჰყვებიან, ბევრ ფშავლის ბალღს სამ ან ოთხ კლასიან სასწავლებელში კურს-შესრულებულს გაეხსნება სწავლის გაგრძელების მადა და ბევრი გზასაც გაიკვლევს, რადგან იმათში შეძლებულებიც ურევიან ასე წავა და სწავლა სწავლას მოიტანს, როგორც წოვა-თუშებში. მოევინება სწავლის ნათელი ჩვენს ბნელეთსაც, გაჩნდებიან სოფლებში რიგიანი კაცები, რიგიანი მოხელენი, რომელთ ულოდინარობითაც ეხლა სოფლად ბევრი რიგიანი საქმე ფუჭდება და ხალხი იტანჯება. დასასრულ ვისურვებთ, რომ თიანეთში თუ ოთხ-კლასიანი არა, სამ-კლასიანი სასწავლებელი მაინც მალე გვღირსებოდეს.

X. X.

*) აქ სახეში არა გვაქვს მატან-ახმეტის ორიოდე თავადიშვილი და აგრეთვე 50 მდე სოფლის სკოლის შეგირდი, რომელთა შორისაც ყველა თემისანი ურევიან.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი უთმოთ ამ მცირე შენიშვნას თქვენს პატივცემულს გაზეთში და ამით მომცეთ საშუალება გავასწორო თქვენის გაზეთის ერთი უნებლიე შეცდომა. აი საქმე რა გახლავთ: წარსულის თვეის «ივერიის» ერთს ნომერში იყო დაბეჭდილი სოფ. მაღრანიდგან მოწერილი ამბავი: ქურდობასა, ავაზაკობასა, ქალების ტაცობასა და სხვა-და-სხვაზედ. იმავე თვეის „ივერიის" მე-44 №-ში ა. ბმა სანოსაც სამართლიანად გაიმეორა და მიუთითა მკითხველს ამ მართლა-და საზიზღარ საქმესა და მოქმედებაზედ, სადაც სხვათა შორის ამბობდა: „თიანეთის მაზრაში გახლავთ სოფელი მაღრანი. ამ სოფლიდგან იმ დღეს ჩვენ დაგვებეჭდა ამბავი ერთის ამხანაგობის ქცევისა" და სხვანი.

მე თვითონ გახლავართ გამგე იმ ნაწილისა და სოფლებისა, რომლის გვერდითაც მდებარეობს სოფელი მაღრანი. ეს სოფელი მაღრანი ეკუთვნის თელავის მაზრას და არა თიანეთისას, თუმცა გაზეთმა ორჯელვე თიანეთის მაზრად მოიხსენია.

მე ამით არ მინდა ვსთქვა, რომ ვითომ მთელს თიანეთის მაზრაში ანგელოზები სცხოვრობდნენ, მაგრამ იმისთანა ავაზაკობისაგან-კი, როგორიც გაზეთში იყო ნაამბობი, ღმერთმა ყოველი მაზრა დაიხსნას.

სასიამოვნოა, როცა გაზეთი, თუ პროვინციის ჭეშმარიტი მეთვალყურე-კორრესპონდენტი ზედ-მიწევნით თვალ-ყურს ადევნებს ხალხის ყოფა-ცხოვრებას და, სადაც ადმინისტრაციის თვალი ვერა სწვდება, იქ ის ეშველება.

მე ამისი წინააღმდეგი არა მაქვს-რა და თუ ჩემს ნაწილშიაც შენიშნავენ რასმე და ამითი მომცემენ საშუალებას ნაკლულევანების გასწორებისას, ყოველთვის დიდი მადლობელი ვიქნები.

დასასრულ კიდევ გავიმეორებ, რომ სოფელი მაღრანი ეკუთვნის თელავის მაზრას და იმის საქმეებს განაგებს თელავის ადმინისტრაცია და არა თიანეთისა.

თქვენი პატივცემული თიანეთის მაზრის თუშ-კახეთის ნაწილის გამგე ბოქაული
ელიზბარ გუგუშვილი

1889 წ. 19 მარტი
სოფელი ახმეტა

## უცხოეთი

საფრანგეთი. ლიგა პატრიოტებისა შესდგა პირველად 1882 წელს. აზრად ჰქონდა შეცვლა ფრანკფურტის ხელ-შეკრულობისა და დაბრუნება ელზას-ლოტრინგისა საფრანგეთისათვის. პირველი მისი პრეზიდენტი იყო ანრი მარტენი. დერულედს მაშინ ლიგის დელეგატი ეწოდებოდა. ეს საზოგადოება არ უნდა გარეულიყო არც პოლიტიკაში და არც სარწმუნოების საქმეებში, შეეძლო მხოლოდ დაეარსებინა გიმნასტიკის საზოგადოებანი, თოფის სროლისანი, დაჭრილთა და დაკოდილთათვის შემწეობის მიმცემი სანი. დასასრულ საზოგადოებას უნდა ემხარა ყოველივე ღონე, რათა შთაებერა სამხედრო სული საფრანგეთისათვის, აღედგინა ვაჟკაცობა და გმირობა ერისა, დაენახვებინა ყველასთვის მისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე. ამ სახით შესდგა ლიგა. მთავრობას ნება არ დაურთავს. მაგრამ რა-კი წევრებად ჩაწერილნი იყვნენ სახელოვანნი მამულიშვილნი და რა-კი საგანი, საქმე ლიგისა ფრიად მიმზიდველი და საკეთილშობილო იყო, მთავრობაც თანაგრძნობით მოექცა და ხმა არ ამოუღია წინააღმდეგ.

რამდენმამე წელმა განვლო და ლიგის აზრი და მიმართულება შეიცვალა. 1887 წელს ამ საზოგადოების თავმჯდომარედ შეიქმნა პოლ დერულედი, რომელმაც სულ სხვა გვარად დაიწყო ლაპარაკი, შეაგულიანა ბულანჟე და მოჰყვა ქადაგებას ბულანჟეს მომხრე დასის შედგენისათვის. დერულედმა სულ სხვაფრივ მოჰმართა საზოგადოების საქმენი, წინააღმდეგობას უწევდა მთავრობას და ჰმართავდა მანიფესტაციებს. ამის გამო საზოგადოების კერძო კომიტეტებმა ველარ მოითმინეს მისი თავმჯდომარედ ყოფნა და გადააყენეს 17 დეკემბერს. მის მაგიერ არჩეულ იქმნა ფერი დ'ეკლანი, კაცი ფრთხილი და შორს-მჭვრეტელი. მან მოსპო ის ბოროტება, რომელიც დასთესა დერულედმა და გამოაცხადა, რომ ლიგას შინაურს პოლიტიკასთან საქმე არ უნდა ჰქონდესო. როცა 1888 წელს სამხედრო საბჭომ გენერალი ბულანჟე დაითხოვა სამსახურიდამ, ბულანჟეს მომხრეებმა სთქვეს, რომ ვეწინააღმდეგოთ ამ ღონისძიებასაო, მაგრამ ლიგამ არ იკაბულა. ფერი დ'ეკლანმა მალე დაანება თავი ლიგას. მაშინ დერულედის მეგობრებმა კვლავ მოუწოდეს ამ კაცს და აი ამ დღიდგან ლიგა სრულიად შეიცვალა. საეროვნო დაწესებულების მაგიერ, რომელსაც მამულიშვილობა უნდა გაევრცელებინა და ვაჟკაცობის უნარი გაეღვიძებინა ერში, იგი გადიქცა კერძო დასის მომხრედ. ბულანჟეობა და მისი მომხრეობა გამოაცხადა თავის სიმბოლოდ და სასურველ საგნად. ჩვენი მოთავეა ბულანჟეო, აცხადებდა ლიგა: იმას უნდა მივდიოთ, იმან უნდა დაამხოს 1875 წლის კონსტიტუცია და გაანთავისუფლოს ქვეყანა ოლიგარხიისაგან, ვითომ ბევრთა ბატონობის ულლისაგანაო. ბულანჟე ვინდარა დიდების მოყვარე კაცი კი არ არის, დიქტატორობის მსურველი, არამედ მეძროშეა ჩვენი, წინამძღვარია ჩვენის დასისაო, სწერდნენ წევრნი ლიგისანი თავიანთს მანიფესტში.

შემდეგ ლიგა სცდილობს, რომ ბულანჟეს არჩევანებზე გაუკეთოს საქმე. თვით დერულედი გამოვიდა კანდიდატად შარანტაში ბულანჟეს მფარველობით. ბულანჟე ამბობდა მაშინ, რომ ვინც თეთრს კენჭს მისცემს დერულედს, იმას ვითომ ჩემთვის მოუცია თეთრი კენჭი, ვითომც მე ამეურჩევიაო. 15 იანვრის არჩევანებზე ხომ წელს აღარა დაჰზოგა რა ამ საზოგადოებამ ბულანჟეს გამარჯვებისათვის. საზოგადოება სამხედრო წესით დაეწყო: წევრთა შორის დაარსდა ფარული კავშირი, უმცროს უფროსობა, მორჩილება უფროსთა და მთავართა. საქმე იქამდე მივიდა, რომ უფოსტოდ, უტელეგრაფოდ შეეძლოთ სულ მოკლე ხანში დიდ ძალი ამომრჩევლები შეეკრიბათ თავიანთ დასის კაცის გასათეთრებლად და მთავრობის კაცის გასაშავებლად.

რაკი ასე შეიცვალა მიმართულება და ხასიათი ლიგისა, რაკი ასე თამამად გადუდგა წინანდელს გზას და საგნად გაიხადა წინააღმდეგობა როგორც რესპუბლიკისა, ისე ყოველ გვარის სარესპუბლიკო დაწესებულებასა, ამიტომ მთავრობამ დევნა დაუწყო და სამართალში მისცა ზოგიერთი მისი უმთავრესი წევრი. სამართალმა ბრალდებულთ ჯარიმა გადაახდევინა და ახლა უნდათ თვით ბულანჟეს წაავლონ ხელი. პრეზიდენტი კარნო და ზოგიერთნი კიდევ სხვანი იმ აზრისანი არიან, რომ თუ ცხადი საბუთები არ იქნას ბულანჟეს წინააღმდეგ, ნუ შევიპყრობთ და ნუ მივცემთ სამართალშიო. ზოგნი კი და სხვათა შორის მინისტრი კონსტანი და რუვიე, პირიქით, იმ აზრს ადგანან, რომ რაც შეიძლება მხნედ უნდა ვდევნოთ ბულანჟეო.

## წვრილი ამბები

კანადაში ამას წინად ერთი ისეთი რომანტიული ამბავი მომხდარა, რომ, ლექსად გადაკეთებული, მშვენიერი ელეგია იქმნებოდა. ერთის შეძლებულის ინგლისელ ოჯახის შვილი, უმაწვილი კაცი, ჭკუის გამოსაცვლელად და დონეზე დასაყენებლად მონრეალში გაგზავნეს. აქ უმაწვილს კაცს შეუყვარდა ერთი არამდიდარის, მაგრამ კარგის ოჯახის ქალი, დაიყოლია, რომ ცოლად გამომყე და ინგლისს წავიდეთ ერთადაო, ხოლო ქალის დედამ საპატარძლოს სიპატარავე მოიმიზეზა და გადასწყვიტა, რომ ქორწინება გადავსდოთო. წარსულს წელს საქმრო ლონდონში დაბრუნდა, მაგრამ

---

დაევიწყებთ, რომ მთლად აღმოსავლეთი საქართველო მონგოლთა ჯარს ეჭირა და მთის ნაპირნიც-კი მათ ხელთ იყო, მაშინ მეფის უებრო „სიბრძნე-ძლიერებას" უნებლიედ დიდი პატივი უნდა ვსცეთ. დიაღ, მტრის მღელვარებაზე დააფუძნა მან თავისის ერის მყუდრო ცხოვრება და ოდესმე მრისხანე მეტოქის დასუსტება სამშობლოს აღორძინების საძირკვლად ჩასდვა!..

მაგრამ ნუ იფიქრებთ, ვითომ მეფის „სიბრძნე გონიერება" აღემატებოდა მის' ავე „ძლიერებას", სრულებითაც არა,—ეს ორი თვისება სისწორით იყვნენ შეწონილნი და ისე მოთავსებულნი, რომ არ იცით, რომელი მათგანი სძლევდა.. როცა საჭიროება თხოულობდა ბრძოლასა და ვაჟკაცობას, მეფემ ჩამორჩენა არ იცოდა და ძალას არ ერიდებოდა ხოლმე. რამდენმამე წელიწადმა გაიარა მტრის გაძევების შემდეგ და ერთმა ნოინმა, სახელდობრ აღრაბაგანისამ, (ადერბიჯანი) ისურვა, „რათა დაიმორჩილოს გიორგი მეფე"... სჩანს, რომ იმ დროს მეფე „მორჩილობაში" აღარ ყოფილა და, რადგანაც აღრაბაგანი საქართველოს საზღვრად იდვა, ნოინს მოუნდომნია „მორჩილობის" აღდგენა, ბატონობის განახლება. თავხედმა ნოინმა აიღო სამეფოს ზოგიერთი ადგილი და განჯას მოვიდა. მეფე თავისის ჯარით იქ დახვდა მტერს და, სასტიკის ბრძოლის შემდეგ, სრულიად შემუსრა, „მოსრნა" მისი ძალა. გამარჯვებული გიორგი „ალაფითა დიდითა" დაბრუნდა უკან.

არაა მოხსენებული სახელდობრ რომელ წელს მოხდა ეს ამბავი, მაგრამ აქ საჭირო და საგულისხმიერო თვით ამბავია: იგი ცხადად გვიჩვენებს, რომ იმ დროს მეფემ მოიშორა ვასალობა და სამეფო თვით-მპყრობელობა შეიმოსა, ამ ამბის შემდეგ სწორედ თვით მპყრობლობის ნიშანი და ბეჭედი აზის გიორგი ბრწყინვალის თითოეულს მოქმედებას, სამეფო განკარგულებას. მეფე აღარავის ეკითხება, გარეშე ბატონის ბრძანებას არ საჭიროებს, თავის თავად და დამოუკიდებლად განაგებს ყოველ გვარს საქმეს. ძირეულად შეიცვალა ტახტისა და მეფობის ვითარება, სახელმწიფო ცხოვრება სწორე და საკეთილო გზას დაადგა და თვით დროშამაც პირი შეუბრუნა მტერს. როდესაც, მაგ., საბერძნეთის სულტან ორხანმა მოიწადინა საქართველოსათვის წაეგლიჯა რამე, კლარჯეთი და მისი მიდამონი დაეპყრო, გიორგიმ ჯერ ჩვეულებრივ „სიბრძნე გონიერებას" მიჰმართა—ზავის დადება შეუთვალა მტერს, მაგრამ ორხანმა არ ინება მშვიდობა და საქმე მახვილზედ მიაგდო. ძვირად დაუჯდა მეშურლეს უგუნური კადნიერება: გიორგიმ ურიცხვი თურქი გაჟლიტა, სულ გაანადგურა თავისი მოქიშპე, ასე რომ თვით სულტანიც-კი ძლივს გადარჩა სიკვდილს. მეფეს დიდი ალაფი დარჩა და „მხიარული" მოვიდა ტფილისს[55]).

უფრო ადრე, ვიდრე ეს ამბავი მოხდებოდა, როცა პირველად ნოინთა შორის შუღლი ჩამოვარდა, მეფემ გაილაშქრა რანსა (აწინდელი ყარაბაღი) და შირვანზედ, დაიმორჩილა და ხარჯი დაადო; ამ გალაშქრებას თან მოჰყვა უწინდელის საზღვრის აღდგენა,—აღმოსავლეთით საქართველო კასპის ზღვასა და დარუბანდამდე იყო ხოლმე გადგმული და, როცა მეფემ რანი და შირვანი „მოხარკე ჰყვნა და რუბანდამდე ქურდის ლეკითურთ"[56]), მხოლოდ ნამდვილი და სწორე მიჯნა ჩასდო, უმეტ-ნაკლებოდ შემოზღუდა სამეფო და სხვა არაფერი...

როგორც სჩანს, თუმცა პირველმა გალაშქრებამ ნაყოფი მოიტანა და მეფემ დაიმორჩილა მთელი მხარე დარუბანდამდე, მაგრამ იგი მხარე მჭიდროდ მაინც არ შეერთებია საქართველოს. ამისი მიზეზი ისაა, რომ პირველ ხანებში საქართველო თითონაც არ იყო სრულიად თავისუფალი, ჯერ ისევ მონგოლებს ემორჩილებოდა და, რასაკვირველია, უცხო მოდგმისა და ტომის ხალხის შემოერთება ძნელად მოხერხდებოდა. მაგრამ მეფე მალე თვით მპყრობელი შეიქმნა და მხოლოდ მაშინ გახდა შესაძლო ძველის მოხარკეების მკვიდრად დამორჩილება. როცა «არცა-ღა იყვნენ თათარნი საბრძანებელსა მისსა», მაშინ მეფემ «უმეტესად დაიმორჩილა» ძველი მოხარკენი და განამტკიცა თავისი ძალა. ამ მოხარკეების დამორჩილება აქ საყურადღებოა უფრო იმითი, რომ ცხადად გვიხატავს, თუ რა გვარად მცირდებოდა მეფის ვასალური დამოკიდებულება და თანდათან მატულობდა, იზრდებოდა თვით-მპყრობელობა. ამ შესანიშნავსა და საგულისხმიერო ამბავსაც ცხადად ეტყობა გიორგი ბრწყინვალის ხასიათის გავლენა. თვით-მპყრობლობის აღორძინებას ასეია გვირგვინოსანის სულიერი ბეჭედი: როგორც სხვაგან, აქაც მეფე დიდს საქმეს ზედ არ შევარდა, ნელ-ნელა და აუჩქარებლივ აწარმოვა იგი საქმე და ბოლოს დროს «სიბრძნე გონიერებით» დაამთავრა. სამეფოს თვით მპყრობელობის აღდგენამ დააგვირგვინა დიდი ღვაწლი და ამიტომ იგი თვით მპყრობელობა კვალად მოევლინა ივერიას მხოლოდ მაშინ, როცა მეფემ „დაიმორჩილნა და დაიმონნა ყოველი გიორგია ნებასა შინა თვისსა... ნიგოფსიიდამ დარუბანდამდე... და აღარა იყო წინააღმდეგი და ურჩი მისი»...

ნ. ურბნელი

(დასასრული იქნება)

[55]) ორხანი მეფობდა 1325—1359 წ. ბროსსეს სიტყვით, იმის ცხოვრების აღწერაში არ იხსენიება, რომ გიორგი ბრწყინვალესა და ორხანს ბრძოლა ჰქონოდეთ კლარჯეთის გამო. H. de la G. p. 648, n³, მაგრამ ეს გარემოება ხომ არ არღვევს ჩვენის მატიანის ამბავის სინამდვილეს.

[56]) ibid. p. 646—647.

ჯანით თანდათან სვადა ხდებოდა, დღითი-დღე უარესი ემართებოდა და ამიტომ ექიმებმა ურჩიეს—თავს ძალიან გაუფრთხილდიო. უმაწვილი კაცი სიკვდილის მოახლოვებასა ჰგრძნობდა, მაგრამ შეუვარებულის ქალის შერთვა უეჭველად უნდოდა. ქორწინება სამ მარტისათვის იყო დანიშნული. ავადმყოფმა არ მიახედა თურმე მარტის ცვალებადს ტაროსსა და ქარებს, მამის ხვეწნას, ექიმების რწმუნებას, რომ მაგ მგზავრობას ვერ აიტანო, ყურადღება არ მიაქცია, გაიყოლია თან მამა, ექიმი, მღვდელი და ერთიც მეგობარი. დეპეშით შეატყობინეს პატარძალს, რომ საქორწინოდ მოვდივართ და მოგვეგებენით მომზადებულნიო. მეფე-პატარძალი ჩასხდნენ თურმე მარხილში და ქალის სახლში გამგზავრნენ. გზაზედ ავადმყოფს სულთაბრძოლა დაემართა და ამის გამო მომაკვდავმა სთხოვა მღვდელს, რომ ქორწინების რიგი აქვე გადაიხადე მარხილშიო და მღვდელიც დაეთანხმა. ქორწინების შემდეგ უმაწვილმა კაცმა სულ ორიოდ წუთი იცოცხლა თურმე და შემდეგ გარდაიცვალა.

— აი მეორე რომანტიული ამბავი: პეკინის ერთს უბანში ერთი საწყალი ჩინელი კვახსა ჰყიდდა და ამითი სცხოვრობდა. უეცრად აღმოჩნდა, რომ ეს კაცი იყო უმახლობლესი შთამომავალი იმპერატორის მინგისა, რომელიც ახლანდელმა მანჯურის გვარეულობამ დაამხო და ამასთან შვილს უკანასკნელის იმპერატორისას, მანგის შთამომავლისას, რომელმაც თავი თითონვე მოიკლა, მარკიზობა და დიდ-ძალი მამულები უბოძა. ეხლა ამ კაცისა აღარავინ დარჩა თურმე, ბევრი ეძებეს მემკვიდრე და ვერავის მიაგნეს, კვახის ვაჭარს გარდა. ეს კვახის ვაჭარი შეიქმნა კეთილშობილი იაპონიისა, გაჰბანეს, შემოსეს, ასწავლეს მანჯურული ზრდილობა, რაც საჭირო იყო იმპერატორთან წარსადგენად, და ეხლა ამ კაცმა უნდა შესწიროს მსხვერპლი თავისის წინაპართ იმპერატორების ტაძარში. აი საარაკო ამბავი თუ გინდათ, ეს არის.

— გერმანელებს კიდევ ერთი პრაქტიკული რამ გამოუგონიათ. ეს პრაქტიკული რამ ერთ გვარი ჯოხია, კაპიტანის ვისმანის მიერ გაკეთებული. ჯოხში მეხანიზმოა გამართული და თუ სეირნობად წახვედით და ეს ჯოხიც თან წაიღეთ, დანიშნულს დროს მოგაგონებთ—სახლში დაბრუნების ჟამიც დადგაო. ეს ჯოხი ძალიან სასარგებლო უნდა იყოს იმ გერმანელებისათვის, რომელთაც ლუდით გაყლენთა უყვართ.

— ახალს პრეზიდენტს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულის შტატებისას, გარრისონს, რამდენიმე ამერიკის გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი დაუნიშნავს ელჩებად, სხვათა შორის, სეიდი—პარიჟში, რეისი—პეტერბურგში და გალეტენდი—ბერლინში.

— ამერიკაში ყველაფერი ხომ ზორბაა, განდიდებული, ერთი-ორად ქცეული, გასამკეცებული და იქაური ორატორებიც არა-ჩვეულებრივნი ყოფილან. მაგალითების მოყვანამ შორს რომ არ წაგვიყვანოს, მოვიყვანთ ერთის ამერიკულ გაზეთის ნათქვამს. ეს გაზეთი ამბობს, რომ რადიკალთა დეპუტატმა მაკ-კიურომ ინგლისის წინააღმდეგ სიტყვა წარმოსთქვა და ოც-და-შვიდის საათის განმავლობაში ჰლაპარაკობდა. ორატორმა სამშაბათს დაიწყო ლაპარაკი, ნაშუადღევის პირველს საათზე, და მორჩა ოთხშაბათს, საღამოს ოთხს საათზედ. ამ მართლაც-და საოცარის სიტყვის წარმოთქმის დროს მაკ-კიურომ ოც-და-ხუთი გრაფინი წყალი გამოცალაო. ბარაქა იმისს მუცელსა და ენას, ვიტყვით მკითხველთან ერთად.

# დეპეშა

27 მარტი

**რომი.** სამხედრო მინისტრმა გუშინ გამოუცხადა საბჭოს, რომ თუ ვინიცობაა იტალიამ ხელი ჩასჭიდა აბისინიის საქმეს, საჭირო იქნება 20 მილიონი ლირაო. ამისდა მიუხედავად მინისტრთა საბჭომ დაადგინა დახარჯოს მხოლოდ ექვსი მილიონი კერენისა და ასმარის დასაჭერად და გასამაგრებლად.

**პარიჟი.** სენატის სხდომაზე ლერუაიემ წაიკითხა დეკრეტი იმის თაობაზე, რომ სენატი გადაკეთებულ იქმნას უმაღლეს სასამართლოდ ბულანჟესა და სხვათა გასასამართლებლადაო. პირველი სხდომა ამ უმაღლესის სასამართლოსი დანიშნულია პარასკევისათვის.

28 მარტი

**პეტერბურგი.** შაბათს ცხენოსანთა პოლკის პარადს შემდეგ, ხელმწიფე იმპერატორმა მიიღო ბუხარიის საელჩო და გამოეთხოვა. მთავარმა ელჩმა მოახსენა მის უდიდებულესობას დიდი მადლობა ნაბოძების ორდენებისათვის. ეგ ორდენები ამოუშლელ ნიშნებად დარჩება ჩვენს ხსოვნაში იმ წყალობისა, გულ-კეთილობისა და სტუმართ-მოყვარეობისა, რომელიც აღმოგვიჩინა უძლიერესმა მეფეთ-მეფემ, სრულიად რუსეთის იმპერატორმა, მისმა მოწყალე დედოფალმა, უავგუსტოესმა ძმებმა და ბიძებმა და ყველა დიდებულებმა. ხელმწიფემ ემირთან სალამი დააბარა და გზა დაულოცა ელჩებს. ელჩებს მიაქვთ ბუხარაში ძვირფასი საჩუქრები ემირისათვის. თვით ელჩებმაც ძვირფასი საჩუქრები მიიღეს.

დიდს მთავარს დიმიტრი კონსტანტინეს ძეს ებოძა როტმისტრობა ერთგულის სამსახურისთვის.

**ლონდონი.** ველსში იმპერატორი ვილჰელმი ინახულებს დედოფალს ოსბორნში. პორტსმუტში იქნება დიდი აღლუმი სამხედრო ფლოტისა.

საზოგადოებათა პალატამ შეიწყნარა კანონ-პროექტი, რომ გადიდდეს ფლოტიო.

პეტერბურგის 24 მარტი ბირჟა,

| | მყიდველ-ნა. | გამყიდვე-ლისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 44 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 148½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 12 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — „ | — „ | 269½ |
| —მეორისა . . . . . | 243 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | 97 „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | 97¾ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | 83 „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩუპთ (1889) წელიწადი. ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

მარტი 31 დღით არის.

29 დღე ოთხშაბათი. ღირსისა მამისა მარკოზ, არათუსელ ეპისკოპოსისა. კათოლ. წმ. დიმიტრისა. მაჰმად. მე-10 რიცხვი თვისა შაბანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 5—28, ჩადის 6—36. მთვარე 10 დღისაა.

30 დღე ხუთშაბათი. ღირსისა იოანე კლემექსი აღმწერელისა. კათოლ. წმ. ქვრ. ანგელიკასი. მაჰმად. მე-11 რიცხვი თვისა შაბანისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—უკანასკნელ მეფე გიორგის მეუღლე მარიამი გარდაიცვალა მოსკოვს და გვამი მცხეთის ტაძარში მოასვენეს, 1851 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 5—26, ჩადის 6—37. მთვარე 11 დღისაა.

## ვაჭრობადი ცნობანი

ნიხრი

1 მარტიდამ 1 აპრილამდე.

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3½ „ |
| „ 2 „ | 3 „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 „ |
| „ „ 2— | 4 „ |
| „ „ 3 „ | 3½ „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 „ |
| მე-3 — . . . | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 „ |
| „ 2 „ | 8 „ |
| სუკი . . . . | 16 „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 10 „ |
| ღორის ხორცი . . . | „ „ |
| „ 2 „ | „ „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.


# განცხადებანი

წიგნის მაღაზია

პ. ი. ნოდიასი

ქ. ფოთში.

ისყიდება ყოველ გვარი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სასულიერო-საეკლესიო და სხვა მრავალ გვარი საკითხავი წიგნები. იქვე ისყიდება ყოველნაირი სამწერლო მასალები და ნივთები. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ნებართვით ნოდიავა კომისიონერად ყველა სასულიერო და საეკლესიო წიგნების გასაყიდავად ეპისკოპოზის ეპარხიაში. (10—2)

მარიამ ანანოვის დედათა სასწავლებლის

სამზრუნველო საბჭო

# საჯარო ვაჭრობით

სამის წლის ვადით

იჯარით აძლევს ამ 15 აპრილიდგან ანანოვის ქარვასლას, რომელიც იმყოფება სიონის ქუჩაზედ. ვაჭრობა დანიშნულია ამ აპრილის თვის 30 სთვის, საღამოს 7 საათზედ, სასწავლებლის სამზრუნველოს გამგეობაში. (4—4)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . . | „ | 40 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . . | „ | 45 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| დავით ალმასიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . | „ | 50 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . . | 3 | „ |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| ვაზის ობი . . . . . . . | „ | 10 |
| ლოცვანი, დამბაშიძისა . . . | „ | 30 |

იაფად გასყიდვა საქონლისა

# მხოლოდ დღესასწაულამდე

ცენტრალურს საგალანტერეო მაღაზიაში

ერევნის მოედანზედ, ზუბალოვის სახლებში, სკვერისა და სემინარიის პირდაპირ.

გვაქვს ყოველ გვარი საგალანტერეო საქონელი და ოჯახსთათვის საჭირო ნივთები: თეთრეული, კორსეტები, ქერსე, ხელთათმანები, ქოლგები, შლიაპები, ჩულქები, წინდები, ხელსახოცები, ალბომები, ნესესერები, კოსმეტიკები, მელხიორისა და ბრინჯაოს ნივთები, ლამპრები, ჭურჭელი, საყმაწვილო სათამაშოები და სხვანი მრავალნი. (10—3)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვეით . . | 10 მ.—კ. | 6 თვეით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 › . . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 › . . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 › . . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 › . . . . . | 2 „ 75 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 › . . . . . | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

**არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.**

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩაზე, ბასტამოვის სახლში, № 5.


Доз. ценз. Тифлисъ 28-го Марта 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской улиц. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე